**ადრესატი:**

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31222712**
თარიღი: **28/09/2022**

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის,**

**ვერიკო კვირკველიას მოსახლეობასთან შეხვედრის და**

**2022 წლის ანგარიშის წარდგენის ოქმი**

**22. 09. 2022 წელი**

**12:00 საათი**

**შეხვედრას ესწრებოდნენ:**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ვერიკო კვირკველია;**

საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ია ბარამიძე;**

ქალაქ ლანჩხუთის **ადგილობრივი მაცხოვრებლები;**

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვერიკო კვირკველია შეხვდა ქალაქ ლანჩხუთში გორგასლისა და გვარჯალაძის ქუჩის და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებლებს და ესაუბრა მიმდინარე წელს მუნიციციპალიტეტში განხორციელებულ პროექტებზე. ვერიკო კვირკველიამ აღნიშნა, რომ დაიხურა 12 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, მოეწყო სანიაღვრე არხები, ქალაქის ტერიტორიაზე მოასფალტდა 10 ქუჩა, მთლიანად რეაბილიტირდა ქალაქის ცენტრში არსებული სკვერი და შენობების ფასადები.
- აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს იგეგმება გორგასლის ქუჩაზე არსებული საცხოვრებელი სახლის საძირკვლის გამაგრება, რომლის ღირებულება შეადგენს 600000 ლარს, ასევე გამოცხადებულია ტენდერი ახალგაზრდული ცენტრის მოწყობაზე, რომელიც მდებარეობს თავისუფლების ქუჩაზე და რომლის ღირებულებაა 70000 ლარამდე. ეს პროექტი ხორციელდება მონაწილეობითი ბიუჯეტის ფარგლებში და სამომავლოდ იგეგმება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების მოწყობა.
- ვერიკო კვირკველიამ ახსენა გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა, რომელიც ორიენტირებულია ხელი შეუწყოს ქალების გაძლიერებას პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, ასევე თვალს ადევნებს მუნიციპალიტეტში ოჯახური ძალადობის ფაქტებს, მართავს საინფორმაციო შეხვედრებს მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

**მოსახლეობამ ისაუბრა შემდეგ პრობლემებზე:**

- მოსახლეობა აქტიურად ჩაერთო საუბარში და თქვეს, რომ 8 წლის წინ დახურული საცხოვრებელი სახლის სახურავი დაზიანებულია და მიუთითეს მასალის უხარისხობაზე.

- ასევე აღნიშნეს კანალიზაციის პრობლემა და ითხოვეს, რომ თანამონაწილეობით მოხდეს ამ პრობლემის აღმოფხვრა.
- ხაზგასმით გამოკვეთეს საცხოვრებელი ბინების ეზოს პრობლემა, რომელიც ნალექიან ამინდში იტბორება და წყალი ჩაედინება ბინების სარდაფებში, რაც იწვევს საძირკვლის მოშლას. მათ ასევე დასძინეს რომ არაერთხელ შეატყობინეს ამის შესახებ „გაერთიანებული წყალმომარაგების“ კომპანიას, თუმცა რეაგირება არ მომხდარა.
- მოქალაქეებმა ითხოვეს ახალგაკეთებული მსუბუქი გადახურული ნაგებობის შემოსაზღვრა, რადგან მსხვილფეხა პირუტყვის მიერ ზიანდება.
- მოსახლეობამ ითხოვა გორგასლის ქუჩაზე მდებარე ამოვსებული სანიაღვრე არხის გაწმენდა, რომელიც ნალექიანობის დროს აზიანებს ცენტრალურ გზას.

საკრებულოს წევრმა ვერიკო კვირკველიამ მაქსიმალური მხარდაჭერა და თანადგომა აღუთქვა ამომრჩევლებს და დაპირდა მათი პრობლემების შესახებ აღმასრულებელ ორგანოში საუბარს და შეძლებისდაგვარად მათ აღმოფხვრაში დახმარებას.

პატივისცემით,

ვერიკო კვირკველია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე